

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

LEPL – Gori S. Tsintsadze Musical College



2024 წელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, ქ. გორი, სამეფო ქ.17

ტელ.: +995(370)273511 +995(370)274905

ვებ-გვერდი: [www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge)

ელ.ფოსტა: [gori.college@yahoo.com](mailto:gori.college@yahoo.com)







მაი ქაიხაძე


"Art Studio"-ს საესტუდო სიძღვის  
ქმნაველი წლის სელმძღვანელი

მისამართი: ხაშური, ლემლიძის 10  
f <https://www.facebook.com/artstudio85/>  
✉ [art\\_studio@yahoo.com](mailto:art_studio@yahoo.com)  
☎ 598 11 19 65; 570 70 60 64




ნარმატებული კურსდამთავრებული

გიორგი ხასიშვილი

 გუნდის ლობარის/რეგენის  
კურსდამთავრებული

#პროფესიულიგანათლება





სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი პროფესიული  
საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი:

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა ( 22.12.2016. 6 წლის ვადით, გადაწყვეტილება N49). სამუსიკო კოლეჯის მისიაა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი (წარსულში სამუსიკო სასწავლებელი), რომლის მემკვიდრეცაა დღევანდელი კოლეჯი, 1963 წელს დაარსდა. წლების განმავლობაში იყო და არის ქალაქის მუსიკალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კერა და განსაზღვრავს რეგიონის სულიერ და კულტურულ დონეს. კოლეჯი ამზადებდა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შიდა ქართლის სამუსიკო სკოლებისა და მუსიკალური კოლექტივებისათვის. გამორჩეული კურსდამთავრებულები დღესაც წარმატებით აგრძელებენ სწავლას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

კოლეჯს აქვს ორსართულიანი, კეთილმოწყობილი შენობა დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზებით, სასწავლო ინვენტარითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი აუდიტორიები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით, რომელიც სათანადო კომპიუტერული ტექნიკითაა აღჭურვილი; ფონოკაბინეტი აუდიო მასალითა და სხვადასხვა ტიპის მოსასმენი აპარატურით, კომპიუტერული კაბინეტი; ჰყავს უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები.

2013 წელს რეორგანიზებულმა კოლეჯმა პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა. მათი უმეტესობა დასაქმდა რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გუნდის დირიჟორებად, კონცერტმამისტერად, ვოკალური ანსამბლის სოლისტად, გორის, კასპისა და ხაშურის რაიონებში. ვოკალური ხელოვნების (ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის) პროგრამის პირველი კურსდამთავრებული გიორგი მოციქულაშვილი კონკურსის შედეგად სტაჟიორად იქნა მიღებული თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. შემსრულებელილუსტრატორის(კონცერტმამისტერის) პროგრამის კურსდამთავრებული ლაშა მუზაშვილი წარმატებით აგრძელებს სწავლას თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში. რამდენიმე სტუდენტი და კურსდამთავრებული გორის ქალთა გუნდის წევრია.

2019 წლის შემოდგომიდან კოლეჯი ახორციელებს მეხუთე დონის ორ ახალ, ავტორიზებულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. 2020 წელს დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები აღნიშნულ პროგრამებში და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ორივე პროგრამაზე არის „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში“- Higher Vocational Qualification in Music Art.-0215

ეს პროგრამებია:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
- სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
  - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

## 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: სამუსიკო ხელოვნება / Music Art

სარეგისტრაციო ნომერი: 02128-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში / Higher Vocational Qualification in Music Art

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება“, კოდი 0215, აღმწერი - „შეისწავლის სამემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, მიმიკა, ხასიათის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ოსტატობა) ასოცირებულ პრინციპებსა და ტექნიკას/მეთოდებს.“

## 1. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია პროფესიულ დონეზე ფორტეპიანოზე დაკვრა, სოლისტი-ინსტრუმენტალისტის, სოლისტივოკალისტის, ვოკალური ანსამბლის და გუნდის აკომპანირება, საგანმანათლებლო და სარეპეტიციო საქმიანობის განხორციელება სარეპეტიციო პროცესის წარმართვისას ან სარეპეტიციო პროცესის მიმდინარეობისას, მუსიკისადმი ემოციურ-ფასეულობით მიდგომის ჩამოყალიბება და განავითარება, მხატვრული გემოვნების, წარმოსახვის უნარის, მხატვრული აზროვნების, მუსიკალური მეხსიერების, სმენის, რიტმის, სამემსრულებლო ჩვევების, შემოქმედებით უნარების განვითარება.

## 2. დაშვების წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება, შემოქმედებითი ტური

## 3. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სამუსიკო ხელოვნების უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან/და კერძო სექტორში, როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილ ორგანიზაციებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (დაწყებითი საფეხური), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მუსიკალურ და თეატრალურ სტუდიებში, შემოქმედებით კოლექტივებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ), მუსიკალურ, სახელოვნებო ან/და ფართო პროფილის ორგანიზაციაში, ტელევიზია, კინოწარმოება, თეატრი, მუსიკალური სასწავლო სტუდია, თეატრალური სასწავლო სტუდია, ხმის ჩამწერი სტუდია, საპროდიუსერო ცენტრი, ასევე შეუძლია, იყოს თვითდასაქმებული და ეწეოდეს კერძო პროფესიულ პრაქტიკას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 85.52.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 2652, 2354

## 7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი შეესაბამება „სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას პიანისტ-აკომპანიატორის კონცენტრაციის საფუძველზე პიანისტ-აკომპანიატორის კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 132 კრედიტი, რომელთაგან 11 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 53 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 68 კრედიტი არის კონცენტრაციის მოდულები. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პიანისტ-აკომპანიატორი მოიცავს 2 არჩევით მოდულს ჯამურად 12 კრედიტის მოცულობით. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/5 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად:

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 144 კრედიტი, ხანგრძლივობა 28 თვე  
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 174 კრედიტი, ხანგრძლივობა 33 თვე

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: სამუსიკო ხელოვნება / Music Art სარეგისტრაციო ნომერი: 02128-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში / Higher Vocational Qualification in Music Art

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება“, კოდი 0215, აღმწერი - „შეისწავლის საშემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, მიმიკა, ხასიათის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ოსტატობა) ასოცირებულ პრინციპებსა და ტექნიკას/მეთოდებს.“

### 1. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია პროფესიულ დონეზე ფორტეპიანოზე დაკვრა, სოლისტი-ვოკალისტისა და ვოკალური ანსამბლის

აკომპანირება, საგანმანათლებლო და სარეპეტიციო საქმიანობის განხორციელება სარეპეტიციო პროცესის წარმართვისას ან სარეპეტიციო პროცესის მიმდინარეობისას, მუსიკისადმი ემოციურ-ფასეულობით მიდგომის ჩამოყალიბება და განვითარება, მხატვრული გემოვნების, წარმოსახვის უნარის, მხატვრული აზროვნების, საშემსრულებლო ჩვევების, შემოქმედებით უნარების განვითარება.

### 2. დაშვების წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება, შემოქმედებითი ტური

### 3. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სამუსიკო ხელოვნების უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან/და კერძო სექტორში, როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილ ორგანიზაციებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (დაწყებითი საფეხური), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მუსიკალურ და თეატრალურ სტუდიებში, შემოქმედებით კოლექტივებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ), მუსიკალურ, სახელოვნებო ან/და ფართო პროფილის ორგანიზაციაში, ტელევიზია, კინოწარმოება, თეატრი, მუსიკალური სასწავლო სტუდია, თეატრალური სასწავლო სტუდია, ხმის ჩამწერი სტუდია, საპროდიუსერო ცენტრი, ასევე შეუძლია, იყოს თვითდასაქმებული და ეწეოდეს კერძო პროფესიულ პრაქტიკას.

● ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 85.52.0

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 2652, 2354

## 7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუსიკის რეპეტიტორი შეესაბამება „სამუსიკო ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის კვალიფიკაციას მუსიკის რეპეტიტორის“ კონცენტრაციის საფუძველზე მუსიკის რეპეტიტორის კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი, რომელთაგან 11 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 53 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 35 კრედიტი არის კონცენტრაციის მოდულები. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“ მოიცავს 3 არჩევით მოდულს ჯამურად 9 კრედიტის მოცულობით.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად:

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 108 კრედიტი, ხანგრძლივობა 20 თვე  
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 138 კრედიტი, ხანგრძლივობა 25 თვე

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო,  
ქ.გორი, სამეფოს ქ.17

ტელ.: +995(370)273511;  
+995(370)274905

ვებ-გვერდი: [www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge)  
ელ.ფოსტა: [gori.college@yahoo.com](mailto:gori.college@yahoo.com)